## შეტყობინება სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესის აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის შესახებ

2024 წლის 19 ივნისი

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესი (იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ფალიაშვილის ქ. #53. ბინა 2; საიდენტიფიკაციო ნომერი: 202340984) გატყობინებთ, რომ სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესის (შემდგომში - საზოგადოება) აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება ჩატარდება 2024 წლის 11 ივლისს, თბილისის დროით 12:00 საათზე, საზოგადოების იურიდიულ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ფალიაშვილის ქ. #53. ბინა 2.

აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების სააღრიცხვო დღეა 2024 წლის 14 ივნისი.

აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებიც სააღრიცხვო დღეს ირიცხებიან აქციონერებად.

**აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების დღის წესრიგი:**

1. თანხმობის გაცემა მასზედ, რომ **საზოგადოებამ** შეიძინოს **შპს „ინსიონი"-ს,** (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405491187) ბ-ნი ლევან ზაუტაშვილის (პირადი ნომერი: 01026001967) საკუთრებაში არსებული, 100% წილი (შემდგომში - წილი) სრულად, **წილის** ბ-ნი ლევან ზაუტაშვილისგან (პირადი ნომერი: 01026001967) შეძენის გზით.

***საზოგადოების** სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი რეკომენდაციას აძლევს აქციონერთა კრებას, მხარი დაუჭიროს **საზოგადოების** მიერ **შპს ინსიონის** (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405491187) **წილის** ბ-ნი ლევან ზაუტაშვილისაგან (პირადი ნომერი: 01026001967) შეძენის საკითხს*

2. **საზოგადოების** დირექტორისთვის, ქ-ნ ქეთევან დარსაძისთვის (პირადი ნომერი: 01010019286) სრული და შეუზღუდავი უფლებამოსილების მინიჭება, რათა მან, **საზოგადოების** სახელით, ერთპიროვნულად და დამოუკიდებლად, განსაზღვროს **შპს „ინსიონი"-ს** (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405491187) **წილის** შეძენასთან დაკავშირებული ყველა და ნებისმიერი საკითხი, ამ მიზნით, დადოს, ხელი მოაწეროს და შეასრულოს ყველა და ნებისმიერი გარიგება, თავადვე განსაზღვროს ასეთი გარიგებების შინაარსი და პირობები და შეასრულოს **წილის** შეძენასთან დაკავშირებული ან/და მისგან გამომდინარე ყველა და ნებისმიერი სხვა ქმედება, მათ შორის, ბ-ნ ლევან ზაუტაშვილთან (პირადი ნომერი: 01026001967) გააფორმოს წილის ნასყიდობის ხელშეკრულება და ყველა სხვა საჭირო და აუცილებელი გარიგება, შეასრულოს ყველა და ნებისმიერი სხვა ისეთი ქმედება, რომელთა შედეგად, ბ-ნი ლევან ზაუტაშვილი (პირადი ნომერი: 01026001967) გაასხვისებს, ხოლო **საზოგადოება** შეიძენს **წილს.**

***საზოგადოების** სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი რეკომენდაციას აძლევს აქციონერთა კრებას, მხარი დაუჭიროს აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების დღის წესრიგის მე-2 პუნქტად გამოტანილ საკითხს.*

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე _____ /ირაკლი მაჭავარიანი/

დირექტორი _____ /ქეთევან დარსაძე/